საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 123

შაბათი იანვრის 14

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საზანდარნი, აშუღნი და „აღმოსავლეთის მუსიკოსთა საზოგადოება" მწუხარებით აუწყებს, რომ გარდაიცვალა მათი აღმზრდელი და მასწავლებელი სახელგანთქმული სახალხო მგოსანი და აშუღი

ჰაზირა (აბრამ აბრამოვი)

დასაფლავება კვირას, იანვრის 15-ს ხოჯივანქის სასაფლაოზე. გამოსვენება არკადის შესახვევი № 2 სახლიდან, დილის 11 საათზე.

178

ხელოვნების სასახლე

სერგიევის ქუჩა № 13.

შაბათს იანვრის 14-ს

შესდგება ახალი მწერლობის კავშირის მორიგი მეხუთე

ესთეტიკის საღამო

მოხსენებას წაიკითხავს ამხ.

მიხ. აბრამიშვილი შემდეგ თემაზე:

„შილერის ესთეტიკა"

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

179

განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევი „ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს რევკომის სასახლეში, ოთახი № 22, ტელეფონი № 11—69. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

კანის კონფერენცია

როდესაც ვაშინგტონის კონფერენციის შესახებ გვქონდა საუბარი ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის ნორმალიზაცია შეუძლებელია რუსეთ-გერმანეთის იზოლაციის დროს.

როგორც მოსალოდნელი იყო ვაშინგტონმა ვერაფერი სთქვა და მით უფრო ვერაფერი გააკეთა. ასეთი გარემოება საჭირო გახდა და კანის კონფერენციაზე მოგროვდა „განაწამები" დიპლომატია. კანის კონფერენციაზე ევროპის უნიჭიერესმა პოლიტიკოსმა ლლოიდ ჯორჯმა ის გამოსთქვა, რასაც ჩვენ უფრო ადრე აღვნიშნავდით. მან გამოაცხადა „თუ თქვენ გწადიათ ხალხთა ზავისა და მშვიდობიანობის ჩამოგდება, თქვენ გადაუვალად ხართ იძულებული იმუშაოთ მშვიდობიანობის დამყარებისათვის, როგორც მცირე აზიაში ისე რუსეთში".

ლლოიდ ჯორჯი მარტო არ დარჩა თავისი პლატფორმით. იგი მოიწონა იტალიის პირველმა მინისტრმა ბონომიმ, ბელგიის დელეგატი თეუნისი პრინციპიალურად დაეთანხმა ლლოიდ ჯორჯს. ამერიკა და იაპონიის წარმომადგენელნიც ეთანხმებიან მას.

ასე და ამ რიგად სრულიად ახალი გადატრიალება მოხდა ევროპის პოლიტიკაში რუსეთის მიმართ. ისინი დარწმუნდნენ, რომ ავანტიურა ვერაფერს აიღებენ რუსეთის წინააღმდეგ. იგი არ ეცემა და საჭიროა ხორციელური ურთიერთობისათვის რუსეთისა და გერმანიის მოწვევა ახალ საერთაშორისო კონფერენციაზე.

ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. ოქტომბრის გადატრიალების დიაგნოზში შესცდა როგორც კადეტები და მენშევიკები, ისე მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება. „ორი კვირის" მოვლენად არ გახდა ოქტომბრის ამბები და დღეს იძულებული ხდებიან ასეთი თუ ისეთი ურთიერთობა დაიკავონ მასთან.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ კონფერენციას, რომელიც მოწვეული იქნება რომში ამ ახლო მომავალში.

რეზოლუცია რადგანაც „გარანტიებს" თხოულობს რუსეთის მიერ ვალების და უცხოელ კაპიტალისტების ზარალთა აღდგენის შესახებ. იგივე რეზოლუცია გვეუბნება, რომ „ერი თავისუფლად ირჩევს იმ სისტემას, რომელიც მას მოსწონს ამ სფეროში" (სახელმწიფოებრივ წყობილებაში).

რამდენი ცინიზმია ამ უკანასკნელ წინადადებაში? რომელ ერს ანიჭებს ისინი „თავისუფლებას"? ჩამოვთვალოთ მათ მიერ მიწასთან გასწორებული და დამონებული ერები?

რა საჭიროა... ვინ არ იცის ეს „ამბავი".

მაგრამ საჭირო იყო „რაღაც" ეთქვა კატასტროფის წინაშე დამდგარ რაინდს და დამარცხება პირდაპირ არ ეღიარებინა და სწორედ ამ არა პირდაპირი აღიარების სიმბოლოა უმაღლეს საბჭოს რეზოლუცია.

იგი მოითხოვს გარანტიებს? ვფიქრობთ, რომ რუსეთი ამას ხელს მოაწერს. იგი ყოველ შესაძლო გარანტიას მისცემს, რამდენადაც დღეს მისთვის ეს საჭიროა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ რევოლუციის პროცესში ფურცლები და „გარანტიები" კი არ ქმნიან ფაქტებს, არამედ ფაქტები ქმნიან ფურცლებს...

ასე, რომ რუსეთის მდგომარეობა როგორც საშინაო ფრონტზე, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში მტკიცდება. მით უფრო საჭიროა, რომ ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე არსებული წყობილებით „ვიოცნებოთ". ერთხელ და სამუდამოდ თავი გავანებოთ ქიმერების შენებას, „[illegible]" ცქერას და ხელი მოვკიდოთ საქმეს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მენშევიზმი და მასთან ყველა, ვისაც ეგონა, რომ ოქტომბრის გადატრიალება „ორი კვირით" დასრულდებოდა შესცდა. დღეს მაინც, ოთხი წლის შემდეგ უნდა გამოასწორონ თავისი შეცდომა და „გზაზე დგომას" თავი უნდა დაანებონ.

ბევრი იმედები აღუძრა ახალ რევოლუციურ ელემენტებს ვაშინგტონის კონფერენციამ, „მაგრამ" ეს იმედები დაიმსხვრა.

ჩვენ წინასწარ ვიწინასწარმეტყველეთ, რომ ეს ასე იქნებოდა.

ბევრი იმედები აღუძრა ამ ელემენტებს კანის კონფერენციამაც, მაგრამ ლოიდ ჯორჯმაც კი ქედი მოიხარა და რუსეთთან შერიგებაზე დაიწყო ლაპარაკი.

ჩვენ წინასწარ აღვნიშნეთ ამის აუცილებლობა.

ეხლა რომში სურთ „მასლაათი" გამართონ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ესეც აუცილებლად რუსეთ-გერმანეთის სასარგებლოდ დასრულდება. მოვლენათა ასეთი წყობა გაკვეთილად გამოიყენონ, ვისთვისაც საჭიროა.

ხერ. ამაღლობელი.

ვასო აბაშიძე მეუღლით ახალგაზრდობაში

შპენგლერი

„არა ის, რაც უნდა იყოს და რაც იქნება —მთავარია ჩვენთვის, არამედ უმთავრესია ვიყოთ და დავრჩეთ ფაქტების ბატონი და არა მონანი იდეალების".

შპენგლერი.

ევროპის ინტელიგენცია და პოლიტიკურ კონცერტის მესვეურნი დღესაც ისევე, როგორც 1920 წელში შპენგლერით არიან გატაცებულნი. შპენგლერი წარმოშვა კანტის, ფიხტეს, ნიცშეს და მარქსის სამშობლომ ჩ მასში, როგორც ფოკუსში ფაუსტის სულით გამსჭვალული მთელი ევროპის ცივილიზაციის [illegible] განსახიერებული. არ მოსწრებია ჯერ არც ერთს პოლიტიკურს და ფილოსოფიურს ნაწარმოებს ისეთი ყურადღება ევროპის მხრივ, რამდენიც მიიღო შპენგლერმა: მისი დიდი თხზულება „Untergang des Adendlandes" გამოიცა მიუნხენში 1920 წელს, ხოლო ერთი წლის განმავლობაში იგი ოცდათორმეტჯერ გასაღდა; ესე იგი თითქმის ყოველს ათს დღეში ბაზარში თავდებოდა შპენგლერის თხზულება და ყოველი ათი დღე ხელ ახლა და ხელ-ახლად აწვდიდა მოუთმენელ ევროპას ოსვალდ შპენგლერის აზრებს.

სამწუხაროდ თვით ავტორის გერმანული დედანი ჯერ კიდევ არ არის ჩვენს განკარგულებაში. ახლო მომავალში იგი დედანი იქნება ჩვენს ხელში და შევეცდებით ფართოდ გამოვიყენოთ ეს ბუმბერაზი ევროპიული შემეცნებისა.

რა მოხდა ისეთი, რომ ვენის ფორმაში ჩამოსხმული შპენგლერის აზრები მსოფლიოს უმძიმეს ჩ ზოლიერეს ყუმბარასავით გასკდა [illegible] ლი აზრი? რაიმე ახალი პოლიტიკის ახსნა? ახალი ფილოსოფიური, ან სოციოლოგიური კონცეპცია? ამ წუთში ჩვენ ვაფასებთ შპენგლერს იმ ზოგიერთ წიგნით, რომელიც უკვე მისი შესწავლისა და დაფასებისათვის გამოიცა. ესეც საკმაო მასალას გვაძლევს იმისას, რომ უმთავრესი პოლიტიკური მომენტი გავიგოთ შპენგლერის დიდი თხზულებისა და ის პოლიტიკური რეზონანსი, რომელიც ევროპაში გამოიწვია. შპენგლერი არ არის დამთავრებული არც ფილოსოფიური, არც სოციოლოგიური, არც პოლიტიკური სისტემა. მაგრამ იგი კვინტესენციაა მთელი თანამედროვე კულტურის და ამ კულტურაში, მის მარგალიტ დებულებაში არის ჭეშმარიტი გახსნა ევროპის პოლიტიკური ტრაგედიის, რაიც უძირითადესი პრობლემაა როგორც რევოლუციის ძალების, ისე რეაქციის და მთელი კაცობრიობის.

შპენგლერი სრულიადაც არ ეხება ევროპის პრობლემას რუსეთის რევოლუციის თვალსაზრისით, იგი არც რევოლუციონერია, არც სოციალისტია, იგი ამტკიცებს ევროპის კულტურის დეკადანსს და მის სიკვდილს. „სიკვდილისა—ამბობს შპენგლერი—ანტიურმა ქვეყანამ არ იცოდა, რომ ის კვდებოდა და ამიტომ სტკბებოდა სიკვდილის ყოველ წინა დღით, როგორც ღმერთების საჩუქრით. ჩვენ მოვკვდებით შეგნებულად ისე, რომ ყოველგვარ განსხვის პროცესს გამოვცდით ექიმის თვალებით შეცქეროთ". ამ ციტატაში პოლიტიკური დასკვნაა გამოყვანილი პოლიტიკური შპენგლერიზმის. ეს პოლიტიკური გახსნები ლოიდ ჯორჯისათვის იმდენად საბედისწეროა, რამდენადაც იგი არის სინთეზი მეცნიერის, ფილოსოფოსის, ისტორიკოსის, კაცობრიობის პირველი კულტურული ადამიანის, რომელსაც არა თუ არაფერი ესმის მესამე ინტერნაციონალის, არაფერი ესმის რევოლუციის პროცესის და რომელიც ოდნავადაც არა სჭირდება ევროპის საკითხს პოლიტიკურ აზროვნების ჩარჩოებით. შპენგლერიზმი კიდევ უფრო [illegible] რევოლუციის ძალებისათვის, ვინაიდან იგი თანამედროვე ევროპის კატასტროფას, ამ ძირითად პრობლემას რევოლუციისას სჭრის და სწყვეტს არსებითად რევოლუციონურ იდეოლოგიის სასარგებლოდ სრულიად არა როგორც რევოლუციონერი, არამედ როგორც ფილოსოფოსი, როგორც სოციოლოგი, როგორც დოქტორი.

შპენგლერი ოდნავადაც არ ამბობს კონკრეტულად მომავალ ევროპის კონტურებს, არც იმას, რომ ევროპის კატასტროფას რაიმე გენეტიური კავშირი აქვს რევოლუციასთან, ის კულტურის და ცივილიზაციის პრობლემათა თვალსაზრისით ამტკიცებს ევროპის დაცემას. სწორედ ამიტომვეა შპენგლერი რომ იპყრობს მთელი ევროპის ყურადღებას. ბერდიაევის და ფრანკის ტიპის რუსეთის მოაზრენი ჩვენ გვეუბნებიან („O. Шпенглер и закон Европы" Москва 1922 г.), რომ რუსეთში „სლავიანოფილებმა" უკვე 50—60 წლის წინად მოგვცეს მთელი თავიანთი მოძღვრება ევროპის ცივილიზაციის კრიტიკის და აგონიის საფუძვლებზე. ციფრებით ხელში ამასვე ამბობს ფრანგი მწერალი დომანანტონი თავის „Le déclin de L'europe" (ამ თხზულებაზე სხვა ალაგას დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი). მაგრამ თითქოს საგანგებოთ შპენგლერი ერთ ალაგას შემთხვევით ამბობს: „მართალ აზრსაც ნაკლები ფასი აქვს თუ იგი ზერელე გონების მიერ არის გამოთქმულიო": ჩვენ ამას დაუმატებდით: მართალ აზრს ნაკლები ფასი აქვს თუ ის შესაფერისს მომენტში არ არის წარმოთქმული. შპენგლერი კი, როგორც გენიოსი და ამავე დროს მეტად რთულს და მოსწრებულს მომენტში გამოდის მთელ თავის სიმძიმით და თანამედროვე ევროპას კატაკლიზმს, კულტურულ მეტამორფოზას, მთელის ძველის დანგრევას ულოცავს.

რასაკვირველია, შპენგლერი ისე შორს მიდის, რომ ის წინასწარმეტყველებს: არ გავა ბევრი საუკუნე, რომ დედამიწის ზურგზე არ დარჩება არც ერთი გერმანელი, არც ერთი ინგლისელი და ფრანგი, ისე, როგორც იუსტინიანეს დროს არ დარჩენილიყო არც ერთი რომაელი. ბრძოლების პროცესში ანალოგიური რეალიზაციები ჩვენთვის არ არიან საჭირო.

შპენგლერი სულთათანას უმღერის არსებულ ევროპას. რა თქმა უნდა ჩვენ მეტად უჯერებთ ამ შემთხვევაში ფრანკს, რომელიც ფიქრობს, რომ ეს მართალია თანამედროვე კაპიტალისტურ ევროპას მისამართით, რომ ევროპაში გერმანელიც იქნება, ფრანგიც, ინგლისელიც, როგორც იუსტინიანეს დროის რომაელი შესცვალა კელტურის რომაელმა, სხვა ტიპისამ, სხვა სახის, სხვა განცდის, მაგრამ რომაელმავე თავისი უნიკუმური კულტურით და ტრადიციით,

ჩვენს საზოგადოებაში თანამედროვე ევროპის კაპიტალისტურ კულტურას ძალიან ბევრი ლოიალისტი ჰყავს, ამ სამწუხაროდ მათ უძღვნით ჩვენ შპენგლერის აზრებს და ბეკალეროს თხზულებას.

შპენგლერი იძლევა ახალ მასალებს ახალ აზრებს, სრულიად ახალ საფუძვლებს ეთნოლოგიისათვის, ეროვნულ მოძღვრების შესწავლისათვის. ინტერნაციონალ შემეცნების კრიტიკის დროს, ჩვენ ქართველი ხალხის სადი ნაციონალური ინტერესების დასაცავად საკმაოდ ვისარგებლებთ შპენგლერის შესანიშნავ აზრებს.

თედო ღლონტი.

ახალი ხანის დასაწყისი

საბჭოთა რუსეთი ოფიციალურად მოწვეულია გენუას კონფერენციაზე.

მოსკოვი. იანვრის 12-ს (როსტა) ინგლისის და იტალიის მთავრობები იწვევენ კონფერენციაზე ამხ. ლენინს. საგარეო საქმეთა კომისარიატის მიერ მიღებულია იანვრის 7-ის თარიღით რომში მყოფ რუსეთის სავაჭრო დელეგაციისაგან სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლენინის და საგარეო საქმეთა კომისრის ამხ. ჩიჩერინის სახელზე შემდეგი დეპეშა: „გიგზავნით იტალიის მთავრობის მემორანდუმის ტექსტს, რომელიც მივიღეთ დღეს საღამოს: „ამ დღეებში უმაღლეს საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილების ძალით იტალია მარტში

იწვევს ეკონომიურ-ფინანსიურ კონფერენციას, სადაც მიიღებენ მონაწილეობას ევროპის ყველა სახელმწიფოები. იტალიის მთავრობა ეთანხმება დიდ ბრიტანეთის მთავრობას და ფიქრობს რომ ლენინის პირადი მონაწილეობა ამ კონფერენციაზედ შესამჩნევად შეამსუბუქებს ევროპის ეკონომიური წონასწორობის საკითხის გადაწყვეტას. მეფის საგარეო საქმეთა სამინისტრო სთხოვს რუსეთის საგარეო დელეგაციას დაუყოვნებლივ აცნობოს მოსკოვს მეფის მთავრობის სურვილი, რომ ლენინმა უთუოდ მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე. საჭიროა პასუხის გადმოცემა მომავალ ორშაბათისათვის". ხელს აწერს სტრატიანი.

ჩიჩერინის პასუხი

საბჭოთა რუსეთი იღებს წინადადებას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

მოსკოვი, 12 იანვარი (რადიო). საგარეო საქმეთა კომისარმა გაუგზავნა 8 იანვარს უმაღლეს საბჭოს შემდეგი საპასუხო დეპეშა:

1) რუსეთის მთავრობა კმაყოფილებით იღებს მოწვევას ევროპის კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება მარტში.

რუსეთის დელეგაციის არჩევას წინ წაუძღვება სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია, რომელიც აღჭურავს დელეგაციას მეტად ფართო უფლებებით იმ შემთხვევაშიაც, თუ სახალხო კომისართა თავმჯდომარე ლენინი საქმეებისაგან „დატვირთვის გამო და განსაკუთრებით შიმშილობასთან დაკავშირებით იძულებული იქნება დარჩეს რუსეთში, ამის მიუხედავად დელეგაციის შემადგენლობა ისე, როგორც მასზე დაკისრებულ რწმუნებებს ექნება ისეთივე ავტორიტეტი, როგორიც მას ექნებოდა იმ შემთხვევაში, რომ იქ ლენინის მიეღო მონაწილეობა. ამ ნაირად არავითარ შემთხვევაში რუსეთის მხრივ კონფერენციის ჩქარა მუშაობას არ შეხვდება რაიმე დაბრკოლება".

2) ოფიციალური სააგენტოს ცნობით უმაღლესმა საბჭომ აირჩია ევროპის კონფერენციისათვის გენუა. რუსეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ის მოხერხებით და მოკლე გზით [illegible] რუსეთის [illegible] და[illegible] თავის [illegible] იმ წინადადების [illegible] კონფერენცია [illegible] ლონდონში". ჩიჩერინი, „კომუნისტი".

ახალი ამბები

— დღეს საღამოს 7 საათზე ხელოვნების სასახლეში (სერგიევის 13). შესდგება ახალი მწერლობის კავშირის მორიგი შეხვედრა ესთეტიკის საღამო. მოხსენებას წაიკითხავს [illegible] აბრამიშვილი შემდეგ თემაზე: „შილერის ესთეტიკა". დასაწყისი 7 საათზე. შესვლა უფასოა.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ბოჰემა"

პუჩინის ოპერა „ბოჰემა" წარმოადგენს ნიმუშს იმ რეალურ შემოქმედებისას, რომლის მუსიკალური იდეების გამტარებლად ითვლებიან თანამედროვე კომპოზიტორების ერთი ნაწილი (პუჩინი, ლეონკავალო, იოჰან შტრაუსი და სხვ.).

სიუჟეტათ აღებულია ინტელიგენტურ პროლეტარიატის ცხოვრება პარიზის „ლათინურ უბანში". რა თქმა უნდა არის სიყვარულის ინტრიგაც, რომელიც ლიბრეტოს ცენტრად ქცეულა. პუჩინის მუსიკა აქ შედარებით მეტი ტენდენციურია, ვიდრე მის სხვა ნაწარმოებებში.

პირველ აქტის ფინალში დაწყებული მელოდია წითელ ზოლად ტარდება ოპერაში იქ, სადაც გამოდიან მთავარი პერსონაჟები მიმი (ახალგაზრდა მუშა ქალი) და მისი საყვარელი პოეტი რუდოლფი.

მელოდია მეტად ლამაზია, თუმცა ერთგვარი, სხვა და სხვა ჰარმონიით ტარდება. ყველა დანარჩენი მელოდიები სრულად არ არის დაფიქრებული და მათში არც განსაკუთრებული სილამაზე, არც გულწრფელობა არ ბრწყინავს.

მთავარ პარტიას (მიმი) მოქ. ბოკოვა ასრულებდა. მომღერალ ქალს პარტია დაუმუშავებია როგორც მუსიკალური, ისე სცენიური განსახიერების მხრივ და სიმართლე უნდა ითქვას, პარტია სავსებით არის შეთვისებული და თამამად შეიძლება ჩაითვალოს მოქ. ბოკოვას რეპერტუარის საუკეთესო ნომრად.

მიუზეტის პარტია დაუმუშავებელი აქვს მოქ. მაზოვეცკაიას. მთელმა სცენამ კაფესთან, სადაც აუცილებელია სცენის ზედმიწევნით ცოდნა, ბუნებრიობა, ჩაიარა უფერულად, არც მოქ. მაზოვეცკაიას ხმა შეეფერება. მას მეტად ლამაზი ლირიკული სოპრანო აქვს, მიუზეტის პარტიისთვის კი აუცილებელია სილამაზის გარდა მოქნილობა, ზოგჯერ brio-ც. მაზოვეცკაიას მარცხი ცნობად უნდა მიიღოს რეჟისორმა: არ შეიძლება ახალგაზრდა მომღერალთა გამოშვება საპასუხისმგებლო პარტიებში.

მოქ. ზალიპსკი საუკეთესო ვოკალისტია, მისი ხმა მეტად სასიამოვნო ტემბრისაა, მაგრამ სცენიური განსახიერება და გრიმის გაკეთება ბევრ შესაძლებლობას სტოვებს.

მოქ. საბინინიდან უფრო დამთავრებულ შესრულებას მოველოდი.

ბუნებრივად და კარგად ასრულებს თავის პარტიას მოქ. პოლიაევი (მარსელი).

როგორც ყოველთვის შესამჩნევ ტიპს იძლევა მოქ. დემიანენკო.

ორკესტრში გაუბედაობა ისმოდა.

საერთოდ ოპერამ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაიარა.

რეჟისორმა ყურადღება უნდა მიაქციოს მასიურ სცენებს და მეტი სიცოცხლე მისცეს.

პ. ბ.

მოწერილი ამბები

ქ. ახალციხე. დაეხმარეთ კოოპერატივებს. სრული შვიდი წელიწადია, რაც ქ. ახალციხის ძველი ნაწილ რაბათში არსებობს კოოპერატივი „მესხეთი" — ამ ხნის განმავლობაში კოოპერატივი „მესხეთი" ხან გამართული იქმნა და ხან დაკეტილი იყო. დაკეტილი იყო უფრო იმიტომ, რომ ვერ მოეძებნათ ისეთი პირი, რომელსაც შეეძლებოდა მუდმივად კოოპერატივში მუშაობა და საქმეების წინ გაძღოლა.

ამ რიგად საქართველოში კომუნისტურ გადატრიალებიდან, გავლილი წლის ნოემბრის პირველ რიცხვებამდე, კოოპერატივი „მესხეთი" არ მოქმედებდა, და ვიმეორებთ კიდევ, არ მოქმედებდა იმიტომ, რომ მას არ ყავდა პატრონი და ეს უპატრონობა ძალიან ახარებდა საერთოდ კოოპერაციის მტრებს და კერძოდ გაუმაძღარ და ადვირახსნილ ჩარჩ-ვაჭრებს, რომელთა სიხარულს აორკეცებდა ის ის გარემოებაც, რომ მთელ მესხეთში და აგრეთვე მასთან მეზობელ ჯავახეთშიც დღემდე არ მოიპოვება არც ერთი კოოპერატივი.

მხოლოდ ნოემბრიდან კოოპერატივ „მესხეთმა", იწყო მოქმედება. მუდმივი მუშაობა კოოპერატივში იკისრა გამგეობის თავმჯდომარე ზაქარია დიდიმამიშვილმა, რომელიც ენერგიულად შეუდგა მუშაობას, რომელმა მუშაობამაც ძალზე დააფიქრა კოოპერაციის ჩამქრობელნი.

კოოპერატივ „მესხეთს", როგორც დიდი ხნის დაარსებულს ჰყავს ათასამდე წევრი, რომელიც როგორც ზევითაც ვსთქვით ის მოქმედებდა დღემდე ახალციხის ძველი ნაწილ რაბათში.

რაბათი ულარიბესი უბანია მთელ ახალციხეში. აქ ბინადრობს განსაკუთრებით ქართველობა. იგი დაშორებულია ახალ ნაწილს ვერსნახევრით და ტალახიანი გზა-აღმართით სიშორის გამო რაბათს არ ეტანება არც მომხმარებელი და არც გლეხობა.

უკანასკნელნი სოფლებიდან ყველაფერს ეზიდებიან ქალაქის ახალ ნაწილისკენ ასე, რომ რაბათი ყოველი მხრით გარიყული რჩება.

კოოპერატივ „მესხეთის" გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში ზემოდ მოყვანილი დაბრკოლებანი, საჭიროდ დაინახა გაეხსნა თავისი განყოფილება, ქალაქის ცენტრში. ამ მიზნით გ. წ. 25 დეკემბერს მან იქირავა გელაძეებისგან მათი საკუთარი დუქანი ერთი წლით ე. ი. 1 ლი იანვრიდან 1922 წ. 1 ლ იანვრამდე 1923 წ.

ამ ნაირად კოოპერატივი „მესხეთის" გამგეობამ [illegible] ცდებით უზრუნველჰყო კოოპერაციის საქმე მესხეთში. უზრუნველჰყო გლეხობის დაახლოვება კოოპერაციასთან და უზრუნველჰყო თავისი ღარიბი წევრების ინტერესები თუნდაც კი იმ მხრივ, რომ განყოფილების მიერ გლეხობისგან ნაყიდ სურსათ-სანოვაგეს მიაწვდის რაბათის ღარიბულ ხალხს.

ყველაფერი ეს მოახერხა კოოპერატივის გამგეობამ, მაგრამ აღნიშნულ დუქანში მდგომი ვინმე ჩარჩი მარტიროს ნუბარიანცის გაძევება დუქნიდან ვერ მოახერხა მიუხედავად იმისა, რომ 1) მარტიროს ნუბარიანცს დუქანში დგომის ვადა გაუთავდა ა. წ. 1-ლ იანვარს და 2) მიუხედავად იმისა, რომ გამგეობამ ამ დუქნის გაცლის შესახებ რამდენიმეჯერ მიმართა ახალციხის რევკომს.

ჩვენ გვგონია, რომ კოოპერატივი თუ მოინდომებს დუქნის გახსნას ამა თუ იმ რაიონში, მას უფლება აქვს, თუნდაც კი რეკვიზიციის სახით, დაცლევინოს დუქანი ამა თუ იმ ჩარჩს, და კიდევ დაცლევინოს იმ შემთხვევაში, თუ კერძო ვაჭარს დუქანში დგომის ვადა არ გასვლია.

მაგრამ აქ არც რეკვიზიციასთან გვაქვს საქმე, არც კერძო საკუთრებასთან და არც ვადასთან.

დუქანი ეკუთვნის გელაძეებს და არა მარტიროს ნუბარიანცს.

დუქანში დგომის ვადა ნუბარიანცს გაუთავდა ამა წლის 1 იანვარს.

კოოპერატივ „მესხეთის" გამგეობამ ეს დუქანი იქირავა გელაძეებისგან ამა წლის 1-ლ იანვრიდან და ერთი წლის ქირაც შვიდი მილიონი მანეთი წინ და წინ გადაიხადა.

ყველა ამის შემდეგ განა უფლება აქვს ნუბარიანცს არ დასცალოს დუქანი და თუ ის არ დასცლის დუქანს, განა არ შეიძლება მისი გაძევება რევოლუციონური წესით?

თუ ვაფასებთ კოოპერაციას და მის მთელ მნიშვნელობას, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ რათა დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს [illegible] კოოპერატივ „მესხეთის" მიერ დაქირავებული დუქანი, რომლიდანაც [illegible] ნუბარიანცს.

მთავრობის დახმარებას კოოპერატივ „მესხეთისადმი" მოითხოვს, როგორც თვით მთავრობის ინტერესები, აგრეთვე კოოპერაციის და მშრომელი ხალხის ინტერესებიც.—

ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა ერთი წუთითაც კი ნებას არ მისცემს კერძო პირს — ნუბარიანცს მასხარად აიგდოს და ფეხქვეშ გასთელოს საზოგადოებრივი — კოოპერატიული საქმე.

კოოპერატორი.

დადგენილება № 128

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა.

საქართველოდან სასურსათო საგნების გატანის აკრძალვის შესახებ.

სასურსათო საგნების მოძრაობისა და ფართო მომარაგების საქმის მოსაწესრიგებლად — საქართველოს სოც. საბჭ. რეს. რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1) აკრძალულ იქნეს სრულიად გატანა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებიდან:

ა. ყოველგვარი პურეულობისა (როგორიც არის მაგალითად: ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, ღომი, ფეტვი, ასლი და სხვ.) ამა თუ იმ სახით (მარცვლად, ფქვილად, ნამცხვარად და სხვა).

ბ. ყოველგვარი ბრინჯეულობისა.

გ. ლობიოსი.

დ. ყოველგვარი ფურაჟისა, როგორც მარცვლეულისა, ისე თივისა და ჩალა-ბალახეულისა.

ე. რბილისა და მაგარი ჩასაყრელ-ჩასაწყობი წონა-საცავისა (ტარა) (როგორიც არის მაგალითად: ტომარა, საცალო, თოფრა ტიკი და რუმბი, ყუთი, კასრი (ბოჩკა), ბიდონი და სხვ.

ვ. შაქრისა ამა თუ იმ სახით.

ზ. ფართლეულობისა (მანუფაქტურა).

2) აკრძალულ იქნეს გატანა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებიდან სასურსათო სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად:

ა. მაუდისა და იაპონური ძაძისა (სთია).

ბ. კაკლისა და თხილისა ნაჭუჭიანად და უნაჭუჭოდ — ამა თუ იმ სახით.

გ. ჩაისა-ჩაქვის და ოზურგეთურისა.

დ. ყოველგვარი ბოსტნეულებისა და ძირ-ნაყოფა ბოსტნეულისა (როგორიც არის მაგალითად: კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი, ხიორი, ჭარხალი, სტაფილო, წიწაკა და სხვ.) ამა თუ იმ სახით (ნედლად, ხმელად, მწნილად, კონსერვად და სხვ.)

ე. რძის ყოველგვარი პროდუქტისა (როგორიც არის, მაგალითად: რძე ამა თუ იმ სახით — ყველი, ერბო-კარაქი, მაწვნის ნადები (სმეტანა) მაწონი, ხაჭო და სხვ.)

ვ. ღვინისა და ყოველგვარი მაგარი (სპირტისა) სასმელის.

3) დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ხ. ქავთარაძე.

სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე ა. ერქომაიშვილი.

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი, ალ. სვანიძე.

1922 წ. იანვრის „10"

ტფილისი — სასახლე.

პარტიაში

ბეჭდვითი საქმის მუშათა კრება. შაბათს, იანვრის 14-ს, პარტიის ცენტრალურ ბიუროში, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბეჭდვითი საქმის მუშათა ფრაქციის კრება. ამხანაგებს ევალებათ კრებას უკლებლივ დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი — მთავარი კომიტეტი.

ქალთა კულტის ნაშთები საქართველოში.

და როცა პრ. ჯავახიშვილი ბ. [illegible] ლეთის თქმულებას გადმოგვცემს ჯერ საჭიროა იყოს გამოკვლეული, თუ რომელი თქმულება იყო უფრო გავრცელებული ხალხში: ერთი მიკერძოებულ სოფლის არაკი თუ მთელს ერში საქართველოში გავრცელებული თქმულება? მაგრამ როცა მკვლევარი აპრიორული იდეის დასამტკიცებლად შეუდგება რასაკვირველია ის ამაში, მხოლოდ ისეთს ფაქტებს მოიყვანს, რომელიც ამ შემთხვევისათვის გამოადგება.

არც იბერიულ თქმულებაში, რომელიც [illegible] გაურკვეველ ძმის ამბავს გვიამბობს წმ. გიორგი ძლევამოსილ [illegible] დემეტრეთი. ის მხოლოდ თავის [illegible] მფარველობს და მფარველობს მით, რომ ჯაშუშის როლს თამაშობს, რომელსაც ცაშიაც არის და მიწაზედაც. მან იცის ღვთისა და კაცის განზრახვა. იცის მაგალითად ელია [illegible] დედამიწაზე და თუ ეს [illegible] წმ. გიორგის მოყვარე კაცს შეეხება, წმ. გიორგი მასთან ჩნდება და ეუბნება: თავს [illegible] ყანა [illegible] რადგან ელია მის [illegible] ნათლიმამაც [illegible] და [illegible], რომელიც აგრე დაშორებულია. მიწას [illegible] არ იცის ადამიანის [illegible], და [illegible] წმ. გიორგის პრიეტეს. წმ. გიორგიმ ადამიანს [illegible] მოყვარობა იცის, ის მხოლოდ თავის მოყვარეს მფარველობს ამ არაკებში, მისდევით და არა საზოგადოთ ადამიანს. მან ოღონდაც თავის მოყვა-რე იხსნას განსაცდელიდან და ეს განსაცდელი სხვა გარეშე ადამიანს თუ შეეხება ამისათვის ის არ შესწუხდება. მეცხვარემ ყანა გაყიდა წმ. გიორგის რჩევით, ფული აიღო და ის კაცი კი ვინც ყანა იყიდა და დაისეტყვა უდანაშაულოდ დაიღუპა. წმ. გიორგის იმის ძალა არაფრით არ შესწევს, რომ [illegible] პირდაპირ წინააღმდეგობა გაუწიოს ელიას ან საქმით, ან სიტყვით და მით მისი შურისძიება შეაჩეროს. ის მხოლოდ ელიას განზრახვას აქარვებს, თავის მოყვარეს აფრთხილებს: ასე მოიქეცი თორემ ელია ამ უბედურობას შეგამთხვევსო. და განა ასეთს [illegible] უნდა იატრებოდეს უზენაესი ღვთაების სიძლიერე? წმ. გიორგი, როგორც ადამიანის მავნესაგან მცველი, ძლიერი პიროვნება იყო ხალხის თვალში რასაკვირველია. ქართველ ხალხს იგი ყველა წმინდანებზე მახლობლად მიაჩნდა, რომელსაც ევედრებოდნენ, ღამესაც ურევდნენ და შესაწირავსაც სწირავდნენ. მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს მის მთავარ ღმერთობას. წმ. გიორგის იმედი და ნუგეში ჰქონდა განსაკუთრებით მწყემსებს, ღამით გარეთ დარჩენილ მგზავრებს, იმ მოსაზრებით რომ ის მავნე კაცს არ მიაკარებდა. წმ. გიორგი აქ დედამიწაზე ეხმარებოდა ადამიანს ნივთიერ ცხოვრების მოწყობაში, მაგრამ იმ დროის ისტორიული მატერიალიზმის ცნებანი არ ტრიალებდა ხალხში, რომ მას მარტო ერთ ამ ქვეყნიურ ცხოვრების მოწყობაზე ეფიქრა. ხალხს იმ დროს სიცოცხლის დასასრულიც აგონდებოდა საიქიო ცხოვრებაც, რასაც ამოწმებს შინაარსი სასულიერო ლექსებისა და მოთხრობებისა, რომელიც დამყარებულია სამოთხე ჯოჯოხეთის წარმოდგენაზე და რომელშიაც ღვთისმშობელი ყოველთვის გულმოწყალედ წარმოუდგენია ხალხს, ის სტირის ცოდვილთა ტანჯვით, და გამოითხოვს მათთვის შეწყალებას.

„ერთი რამ კუპრის ტბა არის
აქედან მისავალშია
ზედ წვრილი ბეწვის ხიდი ძევს
ვის გადაზომავს თვალშია.
მართალნი მარდათ გადიან
დამკვიდრდებიან ბაღშია
ცოდვილნი ძირსა ცვივიან
იღუპებიან ტბაშია".

ასეთი წარმოდგენა ჰქონდა ხალხს საიქიო ცხოვრებაზე, რომელიც მარადიულად მიაჩნდა და სააქაო ცხოვრება კი წარმავალად, რომელსაც წუთისოფელს ეძახდა.

ცოდვისაგან განწმენდილი თავი არავის არ ეგულებოდა და საიქიო ცხოვრების საშიშროებას ის ღვთისმშობლის ნუგეშით იმსუბუქებდა. ღვთისმშობელი როგორც მოწყალე დედა ხალხს ცოდვილთა შემწყალედ, პირდაპირ გამომხსნელად ეგულებოდა იმედათ სააქაო და საიქიო ცხოვრებისა, რომლის შუამავლობას ღმერთთან უფრო მეტი ძალა და გასავალი ჰქონდა ხალხის აზრით, ვინემ წმ. გიორგის ანუ დანარჩენ წმინდანთ. წმ. გიორგი, როგორც აქტიური დამხმარე ადამიანისა, როგორც ადამიანური ძლიერი პიროვნება შესაძლებელია უფრო საყვარელიც ყოფილიყო ხალხისათვის, ვიდრე ღვთისმშობელი, ან თვით ღმერთი. მაგრამ სიყვარული ერთია და ძლევამოსილობისადმი პატივისცემა კი მეორე. კაცს თავის მეგობარი უყვარს, რომლისათვის არაფერი არ დაეზარება, მაგრამ ამავე დროს უფრო, გარეშე დიდი პიროვნების წინაშე მეტ პატივისცემას და მორიდებას გამოიჩენს. და ქართველი ხალხიც ასეთი პატივისცემით იყო გამსჭვალული ღვთისმშობლისადმი და აქედან დედაკაცის პიროვნებისადმი, სანამ მისი ეროვნული ცხოვრება და რელიგიოზური კულტი არ შეირყეოდა.

ობიექტიური განხილვა ფაქტებისა ჩვენ გვარწმუნებს წინააღმდეგ პრ. ჯავახიშვილისას, რომ მზე იყო მთავარი ღმერთი წარმართ ქართველებისა და ღვთისმშობელი მთავარი მფარველი ქრისტიანულ საქართველოსი.

ქართველი ერის ისტორია ისეთი სიბნელით მოცულია, რომლის განათება და სინათლის მოფენა მოითხოვს მრავალ მეცნიერთა შრომას. და კვლევა-ძიების ხანაში ჩვენ კრიტიკულად მოაზროვნე ქართველმა მკითხველმა არ შეგვიძლია ჭეშმარიტებათ მივიღოთ ისეთი აზრი, თუნდაც უდიდესი მსოფლიო მეცნიერისა, რომლის წინააღმდეგ თვით ისტორიული ფაქტები ღაღადებენ.

კატო მიქელაძე.